ოქმი №24

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2022 წლის 6 ოქტომბერი

ოქმი №24

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2022 წლის 6 ოქტომბერი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გ. ხოშტარია.
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: ზ. მაკალათია, დ. გუნია, დ. ცანავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია და რ. კაჭარავა.
საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს: გ. ხოშტარია

მოისმინეს:
მომხსენებელმა ტ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი.
აზრი გამოთქვეს: გ. ხოშტარიამ.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:
საკითხი – „აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ტ. ხოშტარია.
რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს:
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხსენებელმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, გ.ხოშტარიამ წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნეს 2022 წლის 7 ოქტომბერს დილის 10 საათზე, დღის წესრიგით:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს. ტ. ხოშტარია

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გ. ხოშტარიას წინადადებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ბიუროს ყველა წევრმა.

.:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი: გ. ხოშტარია